პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 14 (4514)

1972 წ. 20 იანვარი, ხუთშაბათი, ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები

# ყველა გზა მიუნხენისკენ მიდის

მეხიკოს ოლიმპიური ტურნირის შემდეგ სსრ კავშირის უძლიერეს „კლასიკოსთა" ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა. საგრძნობლად გადახალისდა ნაკრების წევრთა და კანდიდატთა შემადგენლობა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში საბჭოთა ათლეტებმა მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს. წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა მოჭიდავეებმა დიდ საერთაშორისო ტურნირებშიც, მაგრამ მეხიკოს ოლიმპიადის უსიამოვნო შთაბეჭდილება დღესაც გულს უღრღნის მათ, ვისთვისაც ძვირფასია საბჭოთა სპორტსმენების სახელი და ავტორიტეტი.

მაინც რა მოხდა მეხიკოში ასეთი უსიამოვნო? ერთი შეხედვით თითქოს არაფერი — სსრ კავშირის ნაკრებმა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა და საგრძნობლად ჩამოიტოვა ძირითადი კონკურენტები. როგორც ხედავთ, საქმე გუნდურ შედეგებში არაა. ოლიმპიადა, პირველ ყოვლისა, პირადი შეჯიბრებაა. აქ კი საბჭოთა „კლასიკოსებმა" უღალატეს ტრადიციას და შინ მხოლოდ ერთი ოქროს მედლით დაბრუნდნენ (რ. რურუა). ჩვენ, რა თქმა უნდა, არაფრით ვამცირებთ მათ დამსახურებას, ვინც მეხიკოში გამოსვლა „ოქროთი" ვერ აღნიშნა, არ ვამცირებთ იმიტომ, რომ ვერცხლის მედალიც თავისთავად დიდი წარმატებაა, მით უმეტეს, ვიცე-ჩემპიონებმა (ვ. ბაკულინი, ი. კოჩერგინი, ვ. ოლეინიკი, ნ. იაკოვენკო, ა. როშჩინი) ბოლომდე ვაჟკაცურად და თავგანწირვით იბრძოლეს. მაგრამ ოქროს მედალი მაინც ოქროსია. მას სხვა წონა და ელვარება აქვს.

XX ოლიმპიადისთვის საბჭოთა ნაკრების შემადგენლობამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა, თუმცა, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, მისი ძირითადი ბირთვი ალბათ უცვლელი დარჩება. საქართველო წინასაოლიმპიადო მზადებაში ჩაბმულია ხუთი სრულუფლებიანი დელეგატით, რომლებიც სხვადასხვა გზითა და მეთოდებით იბრძვიან ერთი და იმავე მიზნისთვის — მიიღონ მიუნხენში გამგზავრების უფლება.

ეს უფლება ერთობ საპატიოა და პასუხსაგები, ამიტომაც მის მოპოვებას ბრძოლა სჭირდება. რურუა, მეგრელიშვილი და ბლიაძე თავიანთ შესაძლებლობებს შვეციაში გამოცდიან, მაჭავარიანი და მორჩილაძე — თბილისში, ნაკრების წევრთა ერთი ნაწილი პარიზს გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს დიდ საერთაშორისო ტურნირში. მაშ ასე, ახალი წლიდან საბჭოთა ნაკრები საბრძოლო ოპერაციებს ერთბაშად სამ ფრონტზე იწყებს. თბილისში დიდი საერთაშორისო ტურნირია, შვეციაში — კლიპანის თასის გათამაშება, საფრანგეთში კი როჟე კულონის მემორიალი. სსრ კავშირის ნაკრების ხელმძღვანელობამ (უფროსი მწვრთნელი ა. გრომოვი, მწვრთნელები — ვ. პსარიოვი, გ. გამარნიკი, ვ. ჩუჩალოვი) მიიღო სწორი გადაწყვეტილება შემადგენლობის დაქსაქსვის შესახებ.

მაინც რა უდევს საფუძვლად ნაკრების ასეთ დანაწევრებას? ჯ. მეგრელიშვილი წლეულს ახალ, მისთვის უჩვეულო წონაში გამოდის (62 კგ), მისი მთავარი ოლიმპიური კონკურენტები კი შვეციაში ასპარეზობენ. სწორედ ამიტომ, ნაკრების ხელმძღვანელობამ მეგრელიშვილი შვეციას მიავლინა. კლიპანის ტურნირი ქართველ სპორტსმენს გამოცდილებას შესძენს და, რაც მთავარია, დააახლოებს მომავალ მეტოქეებთან.

რ. რურუას წინაშე სულ სხვა ამოცანაა დასახული. სახელოვან ფალავანს შარშან ავადმყოფობის გამო ხელი შეეშალა, თუმცა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადა მან ბრწყინვალე სტილში მოიგო. თბილისის საერთაშორისო ტურნირში რურუამ აუცილებლად გამარჯვებაზე უნდა იფიქროს, შვეციაში კი მას მშვიდად შეუძლია შეამოწმოს თავისი მზადყოფნა. მწვრთნელებსაც დაახლოებით ასეთი გეგმა აქვთ. თუ მთლიანად გამოჯანმრთელდა, რურუა ტურნირს დაამთავრებს, თუ არა და პირველი შეხვედრის შემდეგ დაასვენებენ.

ო. ბლიაძის წინაშე კონკრეტული ამოცანაა დასახული: აპრილში იგი ევროპის ჩემპიონატში გამოდის, ხოლო მისი მთავარი მეტოქე რიაზანცევი ძალას უფრო მაღალ წონაში ცდის. ამიტომ ბლიაძე მაქსიმალურად უნდა მიუახლოვდეს საჩემპიონატო პირობებს, ეს კი შვეციაში უფრო მეტადაა შესაძლებელი, ვიდრე თბილისში.

ნაკრების ორი დანარჩენი კანდიდატი — თ. მაჭავარიანი და შ. მორჩილაძე უკვე ინტენსიურად ვარჯიშობენ. ისინი დღეში ორჯერ გამოდიან სარბიელზე და შეძლებისდაგვარად აზუსტებენ თავიანთ ძლიერ და სუსტ მხარეებს. შ. მორჩილაძეს ყველაფერი რიგზე არა აქვს სუნთქვის მხრივ — წვრთნაც სწორედ ამ ნაკლის აღმოფხვრის გზით მიმდინარეობს. გამძლეობის გამოსამუშავებლად უებარი საშუალებაა ფიზიკური ვარჯიშები და მძლეოსნური კროსები. მორჩილაძეც უსიტყვოდ ასრულებს მწვრთნელთა მითითებებს, თავისი ინდივიდუალური გეგმის ყოველ პუნქტს. წვრთნის პროცესში მას ხშირად ზედიზედ ორი შეხვედრის ჩატარება უხდება. მწვრთნელების აზრით, მორჩილაძე უკვე წარმატებით სძლევს სირთულეებს. თ. მაჭავარიანი მეტ ყურადღებას ტაქტიკური ოსტატობის სრულყოფას უთმობს და ამ მხრივ სერიოზული წინსვლაც ეტყობა. ერთი სიტყვით, წინასატურნირო სამზადისი თავისი წესითა და რიგით მიდის.

იანვრის ტურნირების შემდეგ „კლასიკოსთა" მთელი ყურადღება ი. პოდდუბნის მემორიალისკენ იქნება მიპყრობილი. აქ ერთხელ კიდევ შემოწმდება ნაკრების წევრთა და კანდიდატთა მზადყოფნის საკითხი. მცირე ხანს დასვენების შემდეგ ისინი გაემგზავრებიან ბულგარეთს, სადაც მონაწილეობას მიიღებენ დიდ საერთაშორისო ტურნირში. მერე კი საკავშირო ჩემპიონატია და კონტინენტის პირველობა, რომლებიც საბოლოოდ ჩამოაყალიბებენ ოლიმპიური ნაკრების სახეს.

ნ. ახვლედიანი.

# ტალინში, ხარკოვსა და ოდესაში...

სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატში უკან დარჩა 3 ტური. ბრძოლის სიმწვავეზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ მონაწილე ოცი გუნდიდან მხოლოდ სამი არ დამარცხებულა.

ვაჟები ტალინსა და ხარკოვში ასპარეზობენ. გაგაცნობთ შეხვედრების შედეგებს: ტალინი. პირველი დღე: „რადიოტექნიკი" (რიგა) — „ავტომობილისტი" (ლენინგრადი) 1:3; მეორე დღე: „ავტომობილისტი" — „ლოკომოტივი" (კიევი) 3:0, „ბურევესტნიკი" (მოსკოვი) — „კალევი" (ტალინი) 3:2, ცსკა — „რადიოტექნიკი" 3:1; მესამე დღე: ცსკა — „ავტომობილისტი" 3:0, „კალევი" — „რადიოტექნიკი" 3:1, „ბურევესტნიკი" — „ლოკომოტივი" 3:1.

ხარკოვი. პირველი დღე: ლომონოსოვის სახელობის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (ოდესა) — „ბურევესტნიკი" (ხარკოვი) 3:2; მეორე დღე: „ზვეზდა" (ვოროშილოვგრადი) — ასკ (დონის როსტოვი) 3:0, „დინამო" (ირკუტსკი) — ლტი (ოდესა) 3:0, „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) — „ბურევესტნიკი" (ხარკოვი) 3:0; მესამე დღე: ლტი — ასკ 1:3, „ბურევესტნიკი" (ხარკოვი) — „დინამო" 3:2, „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) — „ზვეზდა" 0:3.

ოდესაში ქალთა გუნდების შეხვედრებმა ასეთი შედეგები მოგვცა: მეორე დღე. „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — „დინამო" (კრასნოდარი) 3:2, „ნევთჩი" (ბაქო) — „ავტომობილისტი" (ტაშკენტი) 3:0, „ბურევესტნიკი" (ოდესა) — ცსკა 3:0, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „დინამო" (მოსკოვი) 3:2; მესამე დღე. „ბურევესტნიკი" (ოდესა) — „ავტომობილისტი" 3:0, „დინამო" (მოსკოვი) — ცსკა 3:1, „ნევთჩი" — „დინამო" (კრასნოდარი) 3:1, „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი" 3:2.

ამრიგად, 3 ტურის შემდეგ ტალინში დაწინაურდნენ მოსკოვის არმიელები — 3 ქულა, ხარკოვში — ვოროშილოვგრადის „ზვეზდას" ფრენბურთელები — 3 ქულა, ხოლო ოდესაში — ბაქოს „ნევთჩის" სპორტსმენები — 3 ქულა.



ინცელში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ციგურებით სწრაფრბენაში ქალთა შორის. შეჯიბრებამ ოლიმპიურ ჩემპიონს ლ. ტიტოვას მრავალჭიდში არასახარბიელო IV ადგილი მოუტანა. სამაგიეროდ, ცალკეულ დისტანციებზე ტიტოვა შესანიშნავად გამოვიდა. მას ტოლი არ ჰყავდა 500 (43,27) და 1000 (1.28,81) მეტრზე რბოლაში, 1500 მეტრზე კი მესამე იყო — 2.17,44. წარუმატებლობამ 3000 მეტრზე, სადაც ტიტოვა მხოლოდ XIII ადგილზე იყო, საბოლოო ჯამში ოლიმპიური ჩემპიონი პრიზიორებს მიღმა დატოვა.

სურათზე: ლ. ტიტოვა ასპარეზობისას.

# ფინალში სამი გუნდით

ახლახანს კიშინიოვში ჩატარდა ჩვენი ქვეყნის რკინიგზის სკოლების ზონალური პირველობა ფრენბურთსა და კალათბურთში, რომელშიც მასპინძელთა გარდა მონაწილეობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის, სამხრეთ-აღმოსავლეთის, ამიერკავკასიისა და ბაქოს გზების სკოლების ჭაბუკთა და გოგონათა ნაკრები გუნდები.

ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდნენ ამიერკავკასიის წარგზავნილები. კალათბურთელ და ფრენბურთელ ჭაბუკთა გუნდებმა, რომლებიც ძირითადად თბილისელი მოსწავლეებით იყო შემდგარი (მწვრთნელები რ. ჩალაბოვი და რ. მურადოვი) I ადგილი მოიპოვეს. ფინალის საგზური გაინაღდეს აგრეთვე ფრენბურთელმა გოგონებმა (მწვრთნელი ლ. ფილიშვილი). კალათბურთელი გოგონები (მწვრთნელი ჯ. ზაქარიაძე) მხოლოდ III ადგილს დასჯერდნენ.

მარტში გაიმართება ზონებში გამარჯვებული გუნდების ფინალი და საბოლოოდ გაირკვევა უძლიერესთა ვინაობა.

თ. თენგოშვილი.

# ნაკრების გეგმები

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ა. პონომარიოვს ამას წინათ საუბარი ჰქონდა პრესის წარმომადგენლებთან, რომლებსაც გააცნო ნაკრების გეგმები.

ა. პონომარიოვმა აღნიშნა, რომ ნაკრების წინაშე გარკვეული სიძნელეებია. კერძოდ ის, რომ ჯერ კიდევ არაა დასრულებული ბაზის მშენებლობა მოსკოვის მახლობლად. ამას გარდა, არის საორგანიზაციო ხასიათის სიძნელეებიც. მაგალითად, შეიძლება მოხდეს ისე, რომ ნაკრებს და მის ერთ-ერთ მთავარ საბაზისო გუნდს კიევის „დინამოს" ერთდროულად მოუწიოთ უცხოეთში გამგზავრება.

სსრ კავშირის პირველი ნაკრები 4 თებერვალს გაემგზავრება იუგოსლავიაში, სადაც დაჰყოფს 10 დღეს. განზრახულია აგრეთვე ტურნე ჰოლანდიასა და ბელგიაში, რის შემდეგ გუნდი დაბრუნდება მოსკოვში და მოთამაშეები ვარჯიშს განაგრძობენ თავიანთ კლუბებში. მარტის დასასრულს ნაკრები კვლავ შეიკრიბება ბულგარეთში საკონტროლო მატჩის ჩასატარებლად იქაურ ნაკრებთან. აპრილში ჩვენს ფეხბურთელებს თამაში მოუწევთ პერუს ნაკრებთან. ეს მატჩი ნავარაუდევია ჩატარდეს კიევში.

იუგოსლავიაში გამგზავრების სავარაუდო კანდიდატები არიან: მეკარეები — ბანიკოვი (მოსკოვის „ტორპედო") და ოლეინიკი (ორჯონიკიძის „სპარტაკი"); მცველები — ძოძუაშვილი, ხურცილავა, (თბილისის „დინამო"), კაპლიჩნი, ისტომინი (ცსკა), სეროსტანოვი (ასკ, როსტოვი), აბრამოვი (მოსკოვის „სპარტაკი"); ნახევარმცველები — ფედოტოვი (ცსკა), კონკოვი (დონეცკის „შახტიორი"), ანდრიასიანი, ზანაზანიანი („არარატი"); თავდამსხმელები — გრეშჩაკი („კარპატი"), კოპეიკინი (ცსკა), იშტოიანი („არარატი"). იუგოსლავიიდან ჩამოსვლის შემდეგ ნაკრებს შეუერთდებიან კიევის „დინამოს" მოთამაშეები რუდაკოვი, მატვიენკო, კოლოტოვი და ბიშოვეცი.

როგორც ხედავთ, ამ შემადგენლობაში არ ჩანან მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელები და ნაკრების კაპიტანი შესტერნიოვი. ეს იმიტომ, რომ მარტ-აპრილში დინამოელებს თამაში უწევთ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე, ხოლო შესტერნიოვი ამჟამად მკურნალობს მენისკის ოპერაციის შემდეგ.

ა. პონომარიოვმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ გზა ნაკრებისკენ ღიაა ყველასთვის, ვინც ამ პერიოდში გამოიჩენს თავს. მათ შესარჩევად შედგენილია მწვრთნელთა სპეციალური საბჭო.

საბჭოთა ფეხბურთელები წლეულს სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან. გარდა ევროპის ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპის მატჩებისა, ჩვენი ნაკრები მონაწილეობას მიიღებს ე. წ. „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატში", რომელიც ბრაზილიაში უნდა ჩატარდეს. წინაა, აგრეთვე, ოლიმპიური თამაშების ფინალი. ყველა ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის ერთი გუნდი, ვინაიდან მათი თარიღები ერთმანეთს არ ემთხვევა.

● დავოსი, 16 იანვარი. დასავლეთგერმანელმა მოციგურავე ე. კელერმა გაიმეორა ფინელ ლ. ლინკოვესის მსოფლიო რეკორდი 500 მეტრზე რბოლაში — 38,0. ამავე შეჯიბრებაში საბჭოთა მოციგურავე ვ. ტროიცკიმ იმავე მანძილზე 39,2 აჩვენა. ასეთივე შედეგი ჰქონდა მსოფლიო რეკორდსმენ ლინკოვესის და შვედ ი. კლასონს.

● ულიანოვსკი, 18 იანვარი. აქ დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ბურთიან ჰოკეიში. I ადგილისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონები, საბჭოთა ჰოკეისტები და შვეციის წარმომადგენლები. გაიმარჯვეს საბჭოთა ჰოკეისტებმა — 6:3. III ადგილისთვის ბრძოლაში ფინელებმა დაამარცხეს ნორვეგიელები — 4:1. საბჭოთა გუნდს გადაეცა გაზეთ „სოვეტსკაია როსიას" პრიზი.

# ჭადრაკი

● ვეიკ-ან-ზეე, 19 იანვარი. აქ მიმდინარე საახალწლო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის V ტურში ბრაუნმა (ავსტრალია) მოუგო დონერს (ჰოლანდია), პორტიშმა (უნგრეთი) — ივკოვს (იუგოსლავია). ყაიმით დასრულდა შეხვედრები: ადორიანი (უნგრეთი) — ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — სავონი (სსრ კავშირი), პომარი (ესპანეთი) — ბენკო (აშშ), ჰარტოხი — ტიმანი (ორივე — ჰოლანდია). გადაიდო სმეიკალ (ჩეხოსლოვაკია) — სმისლოვისა (სსრ კავშირი) და რეი — ლანგევეგის (ორივე — ჰოლანდია) პარტიები. VI ტურში სავონმა გაიმარჯვა ადორიანთან. სმისლოვი ყაიმზე შეუთანხმდა რეის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისინი მიდიან საპოროში

## თასი „ტრუდმა“ მოიგო

ბაკურიანი, 19 იანვარი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აქ გაიმართა ბოლო წინაოლიმპიური შეჯიბრება სსრ კავშირის თასზე რბოლებში, რომელსაც უნდა გაერკვია ვის დარჩებოდა ეს ძვირფასი ჯილდო და საბოლოოდ დაედგინა იმ მოთხილამურეთა ვინაობა, რომლებიც საპოროს XI ოლიმპიადის სარბიელზე ამ სახეობაში მედლებისთვის იბრძოლებენ.

ქალებს ამოცანა შედარებით იოლი ჰქონდათ (მათ 5 კილომეტრზე უნდა ერბინათ), ვაჟები კი ოლიმპიური პროგრამის ყველაზე მარათონულ დისტანციაზე — 50 კილომეტრზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

მოსალოდნელი იყო, რომ 5 კილომეტრზე ასპარეზობაში იუევსკელი მსოფლიო ჩემპიონი გ. კულაკოვა („ტრუდი“) იოლ გამარჯვებას მოიპოვებდა. ამ ვარაუდის უფლებას ის იძლეოდა, რომ ბოლო წლებში კულაკოვას დიდ შეჯიბრებებში მარცხი არასოდეს განუცდია, ახლა კი ეს ტრადიცია დაარღვია 24 წლის აპატიტელმა ლ. მუხაჩოვამ („ტრუდი“). იგი პირველივე აღმართზე დაწინაურდა და საბოლოოდ შეძლო 10 კილომეტრზე რბოლაში კულაკოვასთან მარცხისთვის რევანში აეღო — 20.10,2. მართალია, მუხაჩოვას უპირატესობა სულ რაღაც ერთ წამში გამოიხატა, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა — მარცხს კულაკოვაც უნდა შეეჩვიოს. III ადგილზეც „ტრუდის“ სპორტსმენი, ლენინგრადელი ნ. ფიოდოროვა გავიდა — 20.40,0. ექვსეულში მოხვდნენ, აგრეთვე, დ. გრიგორიევა (კანაშის „ლოკომოტივი“) — 20.52,1, ნ. შებალინა (ლენინგრადი, „სპარტაკი“) — 20.53,7 და ა. ოლიუნინა (გორკის „ტრუდი“) — 20.55,5.

„ტრუდის“ ქალებმა საერთოდ ამ დღესაც კარგად იასპარეზეს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს იმაში, რომ სსრ კავშირის თასი საბოლოოდ ამ საზოგადოებას დარჩა.

ვაჟებს 12,5-კილომეტრიანი წრე ოთხჯერ უნდა შემოევლოთ. ტრასა მეტად ძნელი იყო. რბოლას თოვა და ქარიც ართულებდა, მაგრამ სტარტზე გამოსული 55 სპორტსმენიდან ამ დაბრკოლებებს არავინ ეპუებოდა, ვინაიდან საკავშირო თასის გათამაშების ბოლო შეჯიბრებაში ყველას სურდა თავის გამოჩენა.

ყველას მაინც სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრების კაპიტანმა, მსოფლიო ჩემპიონმა ვ. ვედენინმა (მოსკოვის „დინამო“) აჯობა, რომელმაც ფინიშამდე მისვლას 2 საათი, 33 წუთი და 35 წამი მოანდომა. ვედენინმა მეორე პრიზიორს, თანაქალაქელ ფ. სიმაშოვს („დინამო“) თითქმის ორი წუთი მოუგო.

უძლიერესთა ექვსეულში შევიდნენ, აგრეთვე, უხტელი ი. პრონინი („ტრუდი“) — 2:36.20, ვლადიმირელი ნ. ანტონენკო („ტრუდი“) — 2:36.28, სსრ კავშირის ზამთრის სპარტაკიადის ჩემპიონი ი. გარანინი (რუდნის „სპარტაკი“) — 2:37.49, და მსოფლიო ჩემპიონი, მოსკოვის არმიელი ვ. ვორონკოვი — 2:37.54. ამჯერად ასპარეზობაში მონაწილეობა არ მიუღიათ 15 კილომეტრზე რბენაში გამარჯვებულებს — ვ. დოლგანოვსა და ი. სკობოვს.

საპოროს ოლიმპიადისთვის სსრ კავშირის მოთხილამურეთა სამზადისი დამთავრდა. ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვ. კამენსკი შედეგებით კმაყოფილია. მან მწვრთნელთა საბჭოსთან ერთად დაასახელა სპორტსმენები, რომლებიც „თეთრი თამაშების“ რბოლებში იასპარეზებენ (ესენი არიან: ქალთა შორის იუევსკელი გ. კულაკოვა, ლენინგრადელები ნ. ფიოდოროვა და ნ. შებალინა, მოსკოველი გ. პილიუშენკო, გორკელი ა. ოლიუნინა და აპატიტელი ლ. მუხაჩოვა, ვაჟები — მოსკოველები ვ. ვედენინი, ფ. სიმაშოვი, ვ. ტარაკანოვი, ვ. ვორონკოვი, ნოვოსიბირსკელი ვ. დოლგანოვი, კიროველი ი. სკობოვი, უხტელი ი. პრონინი და ი. გარანინი რუდნიდან). ეს სპორტსმენები დიდი ბრძოლებისთვის კარგად არიან მომზადებული და უნარი შესწევთ უმაღლესი ტიტულებისთვის იბრძოლონ.

კამენსკი და „მფრინავ მოთხილამურეთა“ ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვ. ტატარინცევი კმაყოფილი არიან, რომ საბჭოთა ოლიმპიელებს ბაკურიანში წვრთნის, დასვენებისა და შეჯიბრებისთვის ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი, ამინდიც კარგი იყო — ოლიმპიელებს თოვლი და ზრუნვა არ მოკლებიათ. ახლა საპოროში წარმატებისთვის ყველაფერი სპორტსმენებზეა დამოკიდებული.

ვ. ფანჯაკიძე.
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

* * *



სურათზე: ლ. მუხაჩოვა დისტანციაზე.

მ. ზარგარიანის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

# ვეტერანის გამარჯვება

ამბობენ, ფარიკაობა მარტის თვალსაზრისით ჭირვეული სახეობააო. ამ სიტყვების ჭეშმარიტება კიდევ ერთხელ დაადასტურა სსრ კავშირის თასის გათამაშებამ. ჯერ იყო და ესპადრონისტთა შეჯიბრებაში ფინალამდე ვერ მიაღწია მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა მუშკეტერმა მ. რაკიტამ, ხოლო რაპირისტთა ასპარეზობას ნახევარფინალში გამოეთიშა მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი ვ. სტანკოვიჩი. დაშნით მოფარიკავეთა შეჯიბრებაში იშვიათად ნახავთ ერთსა და იმავე გვარს გამარჯვებულთა შორის. ვორონეჟში საკავშირო თასის გათამაშებაში ფინალისკენ გზა ვერ გაიკვლიეს ქვეყნის ნაკრები გუნდის წევრებმა, მსოფლიოს ჩემპიონებმა გუნდურ შეჯიბრებაში, ვორონეჟელმა გ. მონძოლევსკიმ, ალმაათელმა ი. ვალეტოვმა და კიეველმა ვ. პარამონოვმა.

თასის მფლობელი უნდა დაესახელებინა დამატებით ორთაბრძოლას. კიეველ ი. ვიტებსკისა და ტალინელ გ. ზაჟიცკის შორის, რომელთაც ფინალი 5-5 მოგებით დაამთავრეს და ხელახლა იხმეს საფარიკაო ბილიკზე. როცა ამ დაძაბული და საინტერესო პაექრობის დრო ამოიწურა, ანგარიში საყაიმო იყო. გამარჯვებული ერთადერთ ჩხვლეტას უნდა დაესახელებინა. ორივე სპორტსმენმა ერთდროულად წამოიწყო შეტევა, მაგრამ მხოლოდ ერთი ელექტრონათურა აინთო. თასი 34 წლის ვიტებსკიმ დაისაკუთრა. ვიტებსკი დიდი ხანია ითვლება ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო დაშნით მებრძოლად. იგი სსრ კავშირის ნაკრების წევრიც გახლდათ. სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში მან ვერცხლის მედალი მოიპოვა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ვიტებსკი არ არის კლასიკური ფარიკაობის წარმომადგენელი, მაგრამ იგი ყველა მეტოქისთვის უხერხული მებრძოლია. იბრძვის ძალისმიერად, სამაგიეროდ, საღად აზროვნებს საფარიკაო ბილიკზე. მას მეტოქის არც ერთი შეცდომა არ გამოეპარება, მუდამ თვითონ ახვევს თავისთვის სასარგებლო ტაქტიკას მოწინააღმდეგეს, III ადგილი დაიკავა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონმა, მინსკელმა ა. ნიკანჩიკოვმა. ეტყობა, ნიკანჩიკოვი ჯერჯერობით ვერ არის ჩვეულ სპორტულ ფორმაში. შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონს, კიეველ გ. კრისს.

# მეტოქეები გამოუჩნდათ

ჩვენი რესპუბლიკის დაშნით მოფარიკავეები მუდამ კარგად გამოდიოდნენ საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. სწორედ ამ სახეობის წარმომადგენლებმა გაუკაფეს გზა ქართულ ფარიკაობას დიდ ასპარეზზე. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ეს ტრადიცია დაირღვა: ხალხთა V სპარტაკიადაში ჩვენებმა მხოლოდ VII ადგილი დაიკავეს. ეს ფაქტი მით უფრო საწყენია, რომ ბოლო ხანებში ჩვენში საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენები გამოჩნდნენ. ეტყობა, მათი წარუმატებლობის მიზეზი ფსიქოლოგიურ მოუმზადებლობაში უნდა ვეძიოთ.

და მაინც, საქართველოს იუნიორ მოფარიკავეთა შეჯიბრებაში ყველაზე უკეთ ამ სახეობის წარმომადგენლებმა იასპარეზეს. აქ იყო ყველა ის კომპონენტი, რაც ალამაზებს და სანახაობრივად საინტერესოს ხდის სპორტულ პაექრობას. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქუთაისელმა მუშკეტერმა გია კოსტავამ, რომელმაც ძალზე ლამაზად და გააზრებულად იფარიკავა. ერთი ხანობა იგი აშკარა ლიდერი იყო, მაგრამ შემდეგ პრინციპული ბრძოლა წააგო თბილისელ მ. ბერიძესთან და მხოლოდ III ადგილი დაიკავა. უნდა ითქვას, რომ გია ნამდვილად კარგი მონაცემებით არის დაჯილდოებული. იგი სწრაფი, აგრესიული, მიზანსწრაფული სპორტსმენია და თუ მის ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებაში წუნი შეინიშნება, ამის გამოსწორება შეიძლება.

ტაქტიკური თვალსაზრისით დაშნით მოფარიკავეთაგან ყველაზე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა ქუთაისელმა თ. მანაგაძემ. იგი კარგად ერკვევა ფარიკაობის ურთულეს ნიუანსებშიც, მაგრამ ამ შეჯიბრებისთვის მზად რომ არ იყო, ეს ცხადია. მანაგაძე მეტოქის ჩანაფიქრს ხვდება, მის საწინააღმდეგო ილეთებსაც იყენებს, მაგრამ დაგვიანებით. ეს მოწმობს, რომ სპორტსმენი ფიზიკურად ძალიან სუსტად არის მომზადებული. იგი II ადგილს დასჯერდა.

უკვე კარგა ხანია დატოვა საფარიკაო ბილიკი რესპუბლიკის ერთ-ერთმა უძლიერესმა დაშნით მოფარიკავემ რ. გოშაძემ. მან მწვრთნელად დაიწყო მუშაობა და, უნდა ითქვას, შესანიშნავ წარმატებასაც მიაღწია. გოშაძემ ბოლო წლებში გამოზარდა დაშნით მებრძოლთა მთელი პლეადა, რომლებიც რესპუბლიკის სპორტულ სახელს იცავენ საკავშირო სარბიელზე. საკმარისია დავასახელოთ სსრ კავშირის ჩემპიონი იუნიორთა შორის ი. სიხარულიძე, საქართველოს თასის წლევანდელი მფლობელი გ. ზურაბიშვილი, პროფკავშირების საკავშირო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ი. ვახროვი... და აი, ახლა იუნიორთა რესპუბლიკურ პირველობაში კვლავ გოშაძის აღზრდილმა მ. ბერიძემ დაისაკუთრა უძლიერესის სახელი. გოშაძე ამჟამად აღარ ავარჯიშებს დასახელებულ სპორტსმენებს, მაგრამ მათ წარმატებებში რევაზის წვლილი დიდზე დიდია.

გუნდურმა ასპარეზობამ დაამტკიცა, რომ, თუ აქამდე თბილისელები თითქმის უბრძოლველად იკავებდნენ პირველ ადგილებს, ახლა ასე აღარ არის. მათ გამოუჩნდათ კონკურენტები, რაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ახარებს ფარიკაობის მესვეურებს. მაგალითად, გოგონების პაექრობაში თბილისელებმა მხოლოდ მინიმალური ანგარიშით — 5:4 სძლიეს რუსთავის წარმომადგენლებს, ხოლო დაშნით ფარიკაობაში I ადგილი ქუთაისელებს დაუთმეს.

ერთი სიტყვით, ამ შეჯიბრებაში კარგად გამოვიდნენ რუსთავის, ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის წარმომადგენლები.

ა. ბურული.

### ტექნიკური შედეგები:

**გუნდური.** რაპირა, ვაჟები. 1. თბილისი, 2. აფხაზეთი, 3. აჭარა; **გოგონები.** 1. თბილისი, 2. რუსთავი, 3. ქუთაისი; **ესპადრონი.** 1. თბილისი, 2. რუსთავი, 3. აფხაზეთი; **დაშნა.** 1. ქუთაისი, 2. თბილისი, 3. რუსთავი.

**საერთო გუნდური.** 1. თბილისი. 2. ქუთაისი, 3. რუსთავი.



სასიხარულო ცნობა მოვიდა ბაკურიანიდან: ჩვენმა გამოჩენილმა ვეტერანმა მოთხილამურემ კ. წაქაძემ კვლავ ისახელა თავი და გაიმარჯვა სსრ კავშირის უძლიერეს სპორტსმენთა შორის ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში.

სურათზე: კ. წაქაძეს (მარცხნივ) გამარჯვებას ულოცავს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი კ. ახათიანი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

### ✦ ქობულეთი

აქ გაიმართა ქალაქის მოსწავლეთა გუნდების შეჯიბრებები მაგიდის ჩოგბურთში, კალათბურთსა და ფრენბურთში. მაგიდის ჩოგბურთში პირველობა მოიხვეჭა ი. გაგარინის სახელობის მე-2 საშუალო სკოლის ნაკრებმა. კალათბურთში როგორც გოგონათა, ისე ვაჟთა შორის უძლიერესები იყვნენ მე-6 საშუალო სკოლის წარმომადგენლები. ფრენბურთელ გოგონებში ყველას აჯობეს მეორესკოლელებმა, ვაჟებში — მე-3 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

ლ. ტრაპაიძე.

### ✦ ახმეტა

ჩატარდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები კალათბურთში, ხელბურთში, ჭადრაკსა და ქართულ ჭიდაობაში. სოფელ მატნის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს კალათბურთში, ხელბურთსა და ჭადრაკში, ქართულ ჭიდაობაში კი პირველობა დუისის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა დაისაკუთრეს.

ო. სულაშვილი.

### ✦ დუშეთი

დამთავრდა მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ფრენბურთში. კალათბურთში პირველობა მოიპოვეს დუშეთის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებმა (გოგონები) და 1-ლი საშუალო სკოლის (ვაჟები) მოსწავლეებმა, მაგიდის ჩოგბურთში — დუშეთის რუსული საშუალო სკოლის (ვაჟები) და სპორტსკოლის (გოგონები) წარმომადგენლებმა, ხოლო ფრენბურთში — ბარისახოს სკოლა-ინტერნატის (ვაჟები) და ჟოპორტის საშუალო სკოლის (გოგონები) გუნდებმა.

ვ. ღურბელაშვილი.
ზ. სიანაიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნანა ჯაფარიძე

— ბელფასტში, როცა მოედანზე პირველად შეხვდით თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს ფეხბურთელს ბესტს და შეძელით მისი „დამორჩილება", ჩრდილოეთ ირლანდიის პრესამ „საოცარი სამხრეთელი მხედარი" გიწოდათ.

— მე დიდხანს ვემზადებოდი ბესტთან შესახვედრად. თავდავიწყებით ვვარჯიშობდი. ვინაიდან ვიცოდი, რომ ბესტთან თამაში ძალზე ძნელია. მარტო მონდომება და მთელი ძალების დაძაბვა საქმეს ვერ უშველიდა. და აი, დაიწყო მატჩი. ბელფასტელ გულშემატკივართა გამაყრუებელ ყიჟინაში ჩემი საკუთარი გულისცემა მესმის. ბესტმა მიიღო ბურთი და მსუბუქად, თითქოს ცეკვავსო, გამოემართა ჩვენი საჯარიმო მოედნისკენ. ვერაფერს ვხედავდი მისი მოხდენილი, სწრაფი ფეხების გარდა... მან ცრუ მოძრაობა გააკეთა. თავი უკან გადაიგდო და შავი თმის ფაფარი ჰაერში შეათამაშა. ბურთი დაზრიალდა და წამით დავასწარი, შემოტრიალებით მოედნის შუაგულისკენ დავარტყი, სადაც ბიშოვეცი მეგულებოდა. ვიგრძენი, რომ სულიერად თითქოს დავმშვიდდი. მერე თქვენც იცით, იმ დღეს რაც მოხდა. ბესტმა ვერ გვიჩვენა თავისი ოსტატობა. მატჩის შემდეგ ბანკეტზე იგი ჩემთან მოვიდა. გამიცინა, ხელი მხარზე მომითათუნა და თვალებმოჭუტულმა მითხრა:

— ახლა შენ გაიმარჯვე. მაგრამ იცოდე იქ, მოსკოვში მე გაჯობებ.

მართალია, საპასუხო მატჩში მას მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ამჯერად ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩში მოსკოვში, ისევ ბესტის პირისპირ დავდექი. იქ მან ლამაზად, ძალიან ეფექტურად ითამაშა, მაგრამ გოლის გატანა მაინც ვერ შეძლო.

— რეზო, მურთაზ ხურცილავამ და თქვენ სევილიაში რუდაკოვთან ერთად მთელი ჩვენი გუნდის საქმე გააკეთეთ. როცა შინ თამაშობს, ესპანეთის ნაკრები ისეთი ძალაა თავისი ცეცხლოვანი ტემპერამენტით, დახვეწილი ტექნიკით, ბურთის ფლობის ვირტუოზული უნარით, რომ წარმომიდგენია, რა ქარიშხლის გამკლავება მოგიხდათ.

— ბრწყინვალედ ითამაშა მურთაზ ხურცილავამ. მისი თავგანწირვა განსაცვიფრებელი იყო. მეც თავი არ დამიზოგავს. სევილიაში ძალიან სუსტად გამოიყურებოდა ჩვენი ნახევარდაცვა, როგორც მოგეხსენებათ, გუნდის ხერხემალი და თავდასხმა... ბურთის მოგერიებას ვერ ვასწრებდით, რომ ხან ჩარუკა, კინი, ხან კინო, ხან კი ამანსიო მოიწევდნენ საჯარიმო მოედნისკენ. როგორ ფლობენ ბურთს, სირდაპირ ჟონგლიორები არიან... ესპანელებს ფანატიკურად უყვართ ფეხბურთი, მათი გარეგნობა საუბრის მანერა, ჟესტიკულაცია, ჩვენსას ჩამოჰგავს. მახსოვს მატჩის წინ მე და მურთაზი სასტუმროს სარკმლიდან ვიყურებოდით. მოედანზე უამრავი ეტლი იდგა. მე ქუთაისი გამახსენდა, ჩემი ბავშვობა. ჩვენებური „ფაიტონები". მურთაზმა კი გიორგი ცაბაძის სიმღერა „უკანასკნელი მეფაიტონე" წამოიწყო: „ძველი თბილისი ისევ მიგონებს, ნისლივით ჩნდება დარდი"...

— მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრების წარუმატებლობას რით ახსნით?

— უპირველესად მინდა აღვნიშნო, რომ ბედმა გვიმუხთლა. საშინელი წუთები იყო. მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში ქართველ ფეხბურთელებს თავი არ შეგვირცხვენია. ვითამაშეთ ენერგიის, მთელი ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმალური დაძაბვით.

— თბილისის „დინამო" დიდი ხანია არის იმის ღირსი, რომ დიდ ასპარეზზე გავიდეს და ამით თავისი სიტყვა თქვას საერთაშორისო სარბიელზე. როგორც იქნა, წლეულს ამის საშუალება მოგვეცა. უეფა-ს ტურნირში დინამოელთა მონაწილეობის შედეგს როგორ წინასწარმეტყველებთ?..

— ოპტიმისტურად. თუ თბილისის „დინამოს" თითოეულმა ფეხბურთელმა შეიგნო, რა რთული მისია აკისრია და ვისი სახელით უნდა ითამაშოს ევროპის პირველხარისხოვან კოლექტივებთან, მაშინ მჯერა ჩვენი წარმატებისა.

— ვის თვლით ფეხბურთელთაგან თქვენს იდეალად?

— მესხს. მე არ მინახავს მასზე უფრო ტექნიკური ფეხბურთელი, რომელიც სპექტაკლს წარმოგვიდგენდა მოედანზე. იგი, თუ გნებავთ, პოეტი იყო ფეხბურთში.

— თქვენი ყველაზე საყვარელი მწვრთნელები?

— მიხეილ იაკუშინი, გავრილ კაჩალინი, ანდრო ჟორდანია, კარლო ცურციძე, გიორგი გრამატიკოპულო, ვახტანგ ჩამიშვილი, გივი ჩოხელი....

— თითქმის ყველა დაასახელეთ, ვისთანაც ოდესმე გითამაშიათ?

— დიახ ყველა. მე მათგან დავალებული ვარ. ანდრო ჟორდანია რომ არა, ჩემგან არაფერი გამოვიდოდა. მან მაგრძნობინა, რომ გაყოყოჩებულ, თავისი თავის უსაზღვროდ მოყვარულ ფეხბურთელებს მხოლოდ ზიანი შეეძლება მოჰქონდეთ გუნდისთვის.

— თქვენი მაგალითი ჭკუის სასწავლი იქნება ახალგაზრდებისთვის, რომლებიც დიდ ფეხბურთში მოვიდნენ. ქუთაისის „ტორპედოზე" რას იტყვით?

— ჩემი საყვარელი გუნდია, სადაც მე გავიგე ფეხბურთის ფასი და სილამაზე. ყოველთვის მღელვარებით ვიგონებ ჩემს ყოფილ თანაგუნდელებს, განსაკუთრებით იუზა ლოსაბერიძეს. დიდი დანაკლისია ქართული ფეხბურთისთვის ის, რომ ყოველთვის მაღალტექნიკური ფეხბურთელების აღმზრდელი ქუთაისის „ტორპედო" „ა" კლასის უმაღლეს ლიგაში აღარ თამაშობს. ვფიქრობ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ „ტორპედომ" აღიდგინოს დაკარგული პოზიციები. ეს საჭიროა ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ.

— რა სიურპრიზს გვიმზადებს თბილისის „დინამო" წლეულს?

— ეს ჯერჯერობით ჩვენი ოჯახური საიდუმლოებაა, მაგრამ ჩვენში დარჩეს და გული მეუბნება: სიურპრიზი „ტაშკენტი-64"-ს მსგავსი იქნებაო...

— ფეხბურთს რომ თავს დაანებებთ, მერე რას აპირებთ?...

— მტკივნეული საკითხია. წლეულს სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტს ვამთავრებ. ძალიან მინდა მწვრთნელად ვიმუშაო. ვნახოთ. მთავარია ჩემი ბიჭი ლაშა კარგად მეყოლოს და გულიანი ქართველი გაიზარდოს...

... ვგრძნობ ჟრუანტელმა გადაურბინა გაყუჩებულ ტრიბუნებს. იწყება. იმედი ვიქონიოთ, რომ ახლა უფრო გაგვიღიმებს ბედი და მერე ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული.

დასასრული. იხ. „ლელო" № 18.

● ●

თანამედროვე ფეხბურთში სულ უფრო მეტად შეიმჩნევა უნივერსალიზმის ტენდენცია. თავდამსხმელი ხშირად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ფიქრობს და საგულდაგულოდ ეხმარება მცველებს, ეს უკანასკნელნი კი არ ერიდებიან შეტევითს ოპერაციებს, ურტყამენ კარში და არც თუ იშვიათად აღწევენ წარმატებას. უნივერსალური ფეხბურთელის ტიპიური მაგალითია რევაზ ძოძუაშვილი, რომელიც წარმატებით ართმევს თავს თავის ძირითად ფუნქციებს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში არც იერიშებში მონაწილეობას ერიდება.

ეს ორი ფოტოც სწორედ რევაზ ძოძუაშვილის „გაორმაგებულ" ხასიათს გამოხატავს. როცა მას საქმე აქვს ისეთ საშიშ ფორვარდთან, როგორიც ბესტია (მარცხენა სურათი). შეტევითს ოპერაციებზე ფიქრი ზედმეტია, მაგრამ საკმარისია მცველმა მიიღოს იერიშისთვის ხელსაყრელი პოზიცია, რომ იგი მოურიდებლად მიქრის მეტოქის კარისკენ. მარჯვენა სურათზე თქვენ ხედავთ ძოძუაშვილს ფორვარდის როლში. ამაოდ ცდილობს საბჭოთა ფეხბურთელის შეჩერებას თურქი ერგუნი.

მარცხენა ფოტო ასახავს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის მომენტს, მარჯვენა კი მსოფლიო პირველობის საკლასიფიკაციო შეხვედრიდანაა აღებული. პირველ შემთხვევაში სსრ კავშირის ნაკრების მეტოქეა ჩრდ. ირლანდიის ნაკრები, მეორეში — თურქეთის გუნდი.






# სპორტშიც სამაგალითო იყო

ყველა ჩვენგანი გულში ინახავს მამაცი საბჭოთა ბორტგამყოლის ნადეჟდა კურჩენკოს ხსოვნას, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე არ დაიშურა „ან-24" თვითმფრინავის ეკიპაჟისა და მგზავრთა გადასარჩენად.

ნადია მხოლოდ 18 წლისა იყო. ცხოვრობდა ჩვეულებრივად, გატაცებული იყო მუსიკით, ლექსების კითხვით, განსაკუთრებით სპორტით. თამაშობდა მაგიდის ჩოგბურთს, ფრენბურთში კი აფხაზეთის ნაკრებ გუნდში გამოდიოდა დიდ სპორტულ სარბიელზე. არაჩვეულებრივად უყვარდა მეგობრებთან ერთად აფხაზეთის თვალწარმტაც ტურისტულ ბილიკებზე სიარული.

სოხუმის კომკავშირულ პარკში, სადაც გმირი ქალიშვილი განისვენებს, გამუდმებით მოდიან ახალგაზრდები. ეს თაყვანისცემა კი, რომელიც ამ დღეებში გაიმართა აფხაზეთის დედაქალაქში, შეუდრეკელი ქალიშვილის სახელის უკვდავების კიდევ ერთი დადასტურება იყო. აქ კურჩენკოს საფლავზე ბრინჯაოს ქანდაკების გახსნის დღეს შეიკრიბნენ „ფრთოსანი ლაინერის საუკეთესო დიასახლისის" წოდებისთვის ბორტგამყოლთა სრულიად საკავშირო პირველი კონკურსის მონაწილენი.

მიტინგზე შეკრებილთ სიტყვით მიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ი. გამრეკელმა. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან სტუმრები; ნადიას მეგობრები... შემდეგ კონკურსის მონაწილენი გაემართნენ სოხუმის ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად. შეხვდნენ ქალაქის ახალგაზრდებს.

ამ კონკურსში ჯერჯერობით ჩართული არაა მოთხოვნები ფიზიკურ და სპორტულ მომზადებაზე, მაგრამ ფიზკულტურის დიდი მნიშვნელობა მათთვის, ვინც ჰაერში მსახურობს, ყველასთვის ცხადია.

აი, რას ამბობს ნადია კურჩენკოს მეგობარი, სოხუმელი ბორტგამყოლი ტ. ნემსაძე: ფიზკულტურისა და სპორტის გარეშე ხალისიანი განწყობა, ხასიათის განმტკიცება და სიმამაცე ვერ წარმოგვიდგენია. ამ მხრივ ყოველთვის ნადია გვაძლევდა მაგალითს.

ესტონეთის საავიაციო სამმართველოს ბორტგამყოლის ტ. ტროშკინას აზრით, მისი პროფესიისთვის ცურვაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი.

დავინტერესდით საერთაშორისო ტრასებზე მომუშავე ბორტგამყოლთა შეხედულებებით:

— პირადად მე სათხილამურო სპორტი და ტანვარჯიში მიტაცებს. გაიცანით — ეს ჩემი მეგობარი ლ. კლიუევაა. იგი ტანვარჯიშსა და ფარიკაობას ანიჭებს უპირატესობას. ე. პჩელინას ჰობი ჭადრაკი და ტურიზმია — გვეუბნება ნ. კამენსკაია.

— ჩვენი ფიზკულტურის კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა. მოსკოვის სპარტაკიადებში გამარჯვება ყოველთვის ჩვენ გვრჩება. კარგი ფიზიკური მომზადება აუცილებელია შორეულ ტრასებზე მომუშავე ბორტგამყოლისთვის — გვითხრა შერემეტიევოს [illegible] კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ვ. ურკინმა.

კონკურსის მონაწილე 55 ბორტგამყოლიდან საუკეთესოს სახელი ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენელმა ე. კუზნეცოვამ მოიპოვა. II ადგილი მოსკოველ ლ. ენიუტინას ხვდა წილად, III — სვერდლოვსკელ თ. დონსკაიას. ტ. ნემსაძე მეოთხე იყო.

თ. გაჩეჩილაძე.

სოხუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფედერაციის არჩევნები

ამას წინათ გაიმართა თბილისის ფეხბურთის ფედერაციის კონფერენცია, რომელმაც მოისმინა პრეზიდიუმის მიერ ბოლო 2 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის ანგარიში. მოხსენებით გამოვიდა პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი პ. მელქაძე, რომელმაც ილაპარაკა ფედერაციის საქმიანობაზე, ხაზი გაუსვა მიღწეულ წარმატებებს, აგრეთვე, არსებულ ნაკლოვანებებს, შეეხო მთელ რიგ საჭირბოროტო პრობლემებს.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს თანამოხსენებანი, მონაწილეობა მიიღეს კამათში. კონფერენციის მუშაობა შეაჯამა თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. შარაშიძემ.

დასასრულ მოხდა არჩევნები. თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. პაიჭაძე, მოადგილეებად — ა. ჭკუასელი და თ. კეკელიძე, პასუხისმგებელ მდივნად პ. მელქაძე.

ი. ბოჭორაძე,
თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ინსტრუქტორი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## უბრალო პროფესიის ადამიანები

ვისაც კი უვარჯიშია, ან შეჯიბრებაში მონაწილეობა მიუღია ბათუმის „დინამოს" სტადიონზე, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცია მათთვის, ვინც დღენიადაგ აქ იმყოფება და ძალ-ღონეს არ იშურებს საიმისოდ, რომ ამ სპორტულ ბაზაზე ყოველთვის ყველაფერი მზად იყოს სპორტსმენთა მისაღებად. ესენია „დინამოს" სტადიონის კომენდანტი კლიმენტი მაზუროკი და მისი მეუღლე ელიზავეტა მაზუროკი.

1937 წელს დაიწყეს ბათუმის „დინამოს" სტადიონზე მუშაობა ამ კეთილმა ადამიანებმა. ვინ მოთვლის, რამდენი რამ გაუკეთებიათ ამ უბრალო პროფესიის მუშაკებს აქ. ყველამ იცის, თუ რა ძნელია ფეხბურთის სათამაშო მინდვრის მოვლა, მისი მორწყვა, ბალახის გათიბვა, დახაზვა, დაზიანებული ადგილების შესწორება, ახალი ბელტის დაგება და სხვ. არანაკლებ ძნელი მოსავლელია მძლეოსნური სექტორები, გასახდელები, სამსაჯო და სამედიცინო ოთახები... ვინ მოთვლის! და აი, ხანშესული ცოლ-ქმარი 35 წელია ემსახურება ამ საქმეს. დაუფასებელია მათი ამაგი და დაუღალავი შრომა. როცა ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელები მინდორზე გამოდიან სუფთა, დაუთოებული ფორმით, ეს ელიზავეტა მაზუროკის სიფაქიზესა და გულმოდგინებაზე მეტყველებს.

70 წელს არიან მიღწეული კ. და ე. მაზუროკები. მიუხედავად ამისა, ისინი დღესაც დაუღალავად საქმიანობენ სპორტულ ბაზაზე. კეთილსინდისიერი მუშაობისთვის ისინი არაერთხელ დაჯილდოებულან აჭარისა და ბათუმის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების, აგრეთვე „დინამოს" საბჭოს სიგელებით და პრემიებით.

ო. მურვანიძე.

[illegible]

## ფიდე-მ მიიწვია

„ლელოს" 19 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა თ. გიორგაძის წერილი „კარპოვი აღარ ხუმრობს", რომელშიც ნათქვამია, რომ წლეულს საზონაშორისო ტურნირში თამაშის უფლებისთვის ა. კარპოვი მატჩში უნდა შეხვდეს ჭაბუკებს შორის მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონს ა. ჰიუგს (შვეიცარია).

ფიდე-ს პრეზიდენტმა დოქტორმა მ. ეივემ ოფიციალურად აცნობა სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციას, რომ ა. კარპოვი მიწვეულია საზონათაშორისო ტურნირში სათამაშოდ. საქმე ის არის, რომ შვეიცარიის ჭადრაკის მესვეურებმა უარი თქვეს კარპოვ-ჰიუგის მატჩის გამართვაზე.

# „თეთრი ოლიმპიადების" ირგვლივ

● **ზამთრის** ოლიმპიური თამაშების ჩატარების იდეა საკმაოდ ორიგინალურად ჩაისახა: 1924 წელს საფრანგეთის საკურორტო ქალაქ შამონში ზამთრის მსოფლიო თამაშები მოეწყო. ერთი წლის შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრაღის სესიაზე შამონის თამაშებს უკანა რიცხვით ოლიმპიური თამაშები უწოდეს. სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ ზაფხულის ოლიმპიადების მსგავსად ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ჩატარებულიყო ზამთრის ოლიმპიადები.

● **ზამთრის** სპორტის სახეობებიდან ყველაზე ძველი ოლიმპიური დისციპლინაა ფიგურული ციგურაობა. იგი შეტანილი იყო ჯერ კიდევ ლონდონის IV ოლიმპიადის პროგრამაში. გათამაშდა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების 4 კომპლექტი ვაჟთა სავალდებულო ვარჯიშებში და ნებისმიერ ციგურაობაში, ქალთა სავალდებულო ვარჯიშებში და წყვილთა სრიალში. ვაჟთა სავალდებულო ვარჯიშები მოიგო უ. სალხოვმა (შვეცია), ნებისმიერი ციგურაობა — რუსეთის წარმომადგენელმა ნ. კოლომენკინმა (მისი სპორტული ფსევდონიმი პანინი იყო), ქალთა სავალდებულო ვარჯიშები — მ. საიერსმა (დიდი ბრიტანეთი). წყვილთა სრიალი კი გერმანულმა დუეტმა — ა. ჰიუბლერმა და გ. ბიურგერმა.



ა. ჰიუბლერი და გ. ბიურგერი.

● **„თეთრი** ოლიმპიადის" პირველი ოქროს მედალი მოიგო ამერიკელმა მოციგურავემ ჩ. ჯუტროუმ. მან ბრწყინვალედ იასპარეზა სპრინტერულ დისტანციაზე (500 მ) და დაამყარა ოლიმპიური რეკორდი შედეგით 44,0. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჯუტროუმ უკან ჩამოიტოვა ბევრი აღიარებული ფავორიტი, მათ შორის სახელგანთქმული ნორვეგიელი კ. ტუნბერგი (მისი შედეგი 500-მეტრიან დისტანციაზე მხოლოდ 44,8 იყო).

● **სათხილამურო** სპორტი ერთ-ერთი მთავარი ოლიმპიური დისციპლინაა. წარმატება სათხილამურო სპორტში ხშირად მთელ ოლიმპიადაში წარმატებას განაპირობებს. ყველაზე დიდი მიღწევები მოთხილამურეთა შორის ჰქონდა შვედ სპორტსმენს ს. ერნბერგს. მან ზამთრის სამ ოლიმპიადაში (1956, 1960 და 1964 წ.წ.) მოიპოვა ოქროს 4, ვერცხლის 3 და ბრინჯაოს 2 მედალი.



ჟ. კ. კილი.

● **მართალია,** „თეთრი ოლიმპიადები" სათვალავს 1924 წლიდან ითვლის, მაგრამ მოთხილამურე ქალებმა ოლიმპიური სარბიელი გაცილებით გვიან მოსინჯეს. 1936 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში პირველად შეიტანეს სამთომოთხილამურე ქალთა ასპარეზობა, ხოლო სათხილამურო რბოლები ქალთათვის მხოლოდ 1952 წელს დამტკიცდა. სამთოსათხილამურო სპორტში ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, ორჭიდში გაიმარჯვა გერმანელმა ხ. კრანცმა. ეს მოხდა გარმიშ-პარტენკირხენში. ქალთა სათხილამურო რბოლა პირველად ოსლოში ჩატარდა. 10 კმ-ზე რბენა მოიგო ფინელმა ლ. ვიდემანმა. II-III ადგილებიც მისმა თანამემამულეებმა გ. ჰიეტამიესმ და ს. რანტანენმა დაიკავეს.

● **თავისი** რეკორდსმენები ჰყავთ საბჭოთა მოთხილამურეებსაც. ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია მოთხილამურე ქალმა კ. ბოიარსკიხმა. 1964 წლის ოლიმპიადაში მან 3 ოქროს მედალი მოიპოვა. ვაჟთა შორის რეკორდსმენად უნდა ჩავთვალოთ პ. კოლჩინი, რომელმაც 1956 და 1964 წლების ოლიმპიადებში 1 ოქროს და 3 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

● **სამთოსათხილამურო** სპორტის ისტორიაში ყველაზე ნათელ ტალანტად ითვლება ავსტრიელი სპორტსმენი ტ. ზაილერი. 1956 წელს კორტინა დ'ამპეცოში მან 3 ოქროს მედალი მიიღო (სლალომში, სწრაფდაშვებასა და გიგანტურ სლალომში). 12 წლის შემდეგ გრენობლში ზაილერის მიღწევა გაიმეორა გამოჩენილმა ფრანგმა მოთხილამურემ ჟ. კ. კილიმ.

● **ოლიმპიური** ციგურაობის ისტორიაში ბევრი სასახელო გამარჯვება აქვთ მოპოვებული ნორვეგიელ სპორტსმენებს. მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან ორნი: ი. ბალანგრუდი და ი. ანდერსენი. პირველმა გარმიშ-პარტენკირხენის IV ოლიმპიადაში 3 ოქროს მედალი მოიპოვა (500, 5000 და 10000 მ დისტანციებზე) და სამივეჯერ ოლიმპიური რეკორდი გააუმჯობესა, მეორემ კი იგივე წარმატება გაიმეორა VI თამაშებში (1500, 5000 და 10000 მ დისტანციებზე), თანაც, ორ სტაერულ დისტანციაზე ოლიმპიური რეკორდები დაამყარა.

● **მოციგურავე** ქალებმა ოლიმპიური სარბიელი პირველად 1932 წელს მოსინჯეს, მაგრამ მაშინ ეს იყო საჩვენებელი გამოსვლები. ოფიციალურად ოლიმპიურ თამაშებში ისინი 1960 წელს ჩაებნენ სკვო-ველში.

● **ყველაზე** დიდ წარმატებას ოლიმპიურ ციგურაობაში ნორვეგიელებმა მიაღწიეს. მათ სხვადასხვა დროს დაიმსახურეს ოქროს 16, ვერცხლის 19 და ბრინჯაოს 15 მედალი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყველა ეს მედალი მიიღეს მოციგურავე ვაჟებმა. ქალებს არც ერთ ოლიმპიადაში არ ჰქონიათ საპრიზო ადგილი.

● **საბჭოთა** მოციგურავეებს შორის საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ: ე. გრიშინს, რომელმაც 1956-1964 წ.წ. ოლიმპიადებში ოქროს 4 და ვერცხლის 1 მედალი მოიპოვა, და ლ. სკობლიკოვას, რომელმაც 2 ოლიმპიადაში ოქროს 6 მედალი დაიმსახურა.



კ. ბოიარსკიხი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

**თბილისის ფეხბურთის ფედერაცია** იუწყება, რომ 27 იანვრიდან 5 თებერვლამდე ფიზკულტურის ინსტიტუტის შენობაში (ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 49) იწარმოებს ფეხბურთის მსაჯთა მოსამზადებელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები მსმენელთა წარმოებიდან მოუწყვეტლივ.

მეცადინეობა იწარმოებს ყოველდღე 17 საათიდან. მსაჯები, რომლებსაც გააჩნიათ კატეგორია, ვალდებული არიან დაესწრონ სემინარებს კვალიფიკაციის ასამაღლებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში წინამდებარე სეზონში ისინი არ დაიშვებიან სამსაჯოდ. სემინარების დასწრების მსურველებს შესაბამისი ცნობები შეუძლიათ მიიღონ ყოველდღე თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში (კონსტიტუციის ქ. № 6) ფეხბურთის ინსპექტორ ი. ბოჭორაძესთან.

# მსოფლიო რეკორდები

ველოსპორტი

(ტრეკი)

1972 წლის 19 იანვრისთვის

### ვაჟები

| სახეობა | დრო | სპორტსმენი | წელი |
|---|---|---|---|
| 200 მ სვლით | 10,69 | ო. ფხაკაძე (სსრ კავშირი) | 1967 |
| 500 მ სვლით | 27,85 | პ. ტრანტენი (საფრანგეთი) | 1967 |
| 1 კმ სვლით | 1.01,14 | ლ. ბორგეტი (იტალია) | 1967 |
| 1 კმ ადგილიდან | 1.03,91 | პ. ტრანტენი (საფრანგეთი) | 1968 |
| 4 კმ ადგილიდან | 4.40,41 | ჰ. კურმანი (შვეიცარია) | 1968 |
| 5 კმ ადგილიდან | 6.01,8 | მ. ფრეი (დანია) | 1969 |
| 10 კმ ადგილიდან | 12.23,8 | მ. ფრეი (დანია) | 1969 |
| 20 კმ ადგილიდან | 25.00,5 | მ. ფრეი (დანია) | 1969 |
| 100 კმ ადგილიდან | 2:18.43.6 | ი. ლუნდი (დანია) | 1971 |
| ერთსაათიანი ადგილიდან | 47513,09 | მ. ფრეი (დანია) | 1969 |
| 4 კმ-ზე გამოდევნებით გუნდური რბოლა | 4.15,76 | გფრ-ის გუნდი | 1968 |

### ქალები

| სახეობა | დრო | სპორტსმენი | წელი |
|---|---|---|---|
| 200 მ სვლით | 12,3 | ლ. რაზუვაევა (სსრ კავშირი) | 1955 |
| 500 მ სვლით | 32,5 | ი. კირიჩენკო (სსრ კავშირი) | 1967 |
| 1 კმ სვლით | 1.12,9 | ი. კირიჩენკო (სსრ კავშირი) | 1967 |
| 1 კმ ადგილიდან | 1.51,1 | ი. კირიჩენკო (სსრ კავშირი) | 1967 |
| 3 კმ ადგილიდან | 4.01,7 | რ. ობოდოვსკაია (სსრ კავშირი) | 1969 |
| 5 კმ ადგილიდან | 6.55,7 | რ. ობოდოვსკაია (სსრ კავშირი) | 1967 |

## 20-24 იანვარი, ბაკურიანი



„ლელოს" პრიზი სამთოსათხილამურო სპორტში

ႢႢႢ. ჯავახიშვილის თასი